საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომპეტენციის ფარგლებში (ეროვნული სამოქმედო გეგმის 8.1.1 აქტივობა) შესრულებასთან დაკავშირებით: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებით შექმნილი შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ფუნქციაა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის და არასრულწლოვანთა მიმართ/მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა ფუნქციას, მათ შორის ზემოხსენებულ დანაშაულებთან დაკავშირებით კანონმდებლობის გამოყენების მიზნით ამზადებს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს შს სამინისტროს მოსამსახურეებისათვის მათ ხელმისაწვდომობას. 2018 წლის მაისში სისხლის სამართლის ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით (ადევნება, ოჯახში ძალადობა, ძალადობა და დევნა) შემუშავებულ იქნა კომენტარები/რეკომენდაციები, რომლის მიზანიცაა აღნიშნულ დანაშაულებზე გამოძიების ხარისხის ამაღლება, ეფექტიანი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრება. ასევე, კანონმდებლობის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინსიტრო ვალდებულია ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური ძალადობის მსხვერპლს შეატყობინოს მის მიმართ ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) საპატიმრო დაწესებულების დატოვების ფაქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავებული იქნა რეკომენდაცია და შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი/ოქმი (შაბლონი) მოძალადის საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემთხვევაში, დაზარალებულის ინფორმირების ვალდებულების შესახებ.